ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სადღეგრძელო

(ვუძღვნი სტუდენტთა შემოქმედებით საღამოს)

რა თამამი უნდა ვიყო,
რომ აკვანი უკვდავების
და ის ერი ვადღეგრძელო,
ვინც შვა დიდი რუსთაველი!

საქართველოს სადღეგრძელო
სალაღობოდ ხომ არ ითქმის! -
სახალხე სანთლად უნდა
იწვებოდეს, ვინც მას იტყვის;

იმეტყველოს ტილოებით,
წიგნით, ლოდით, ნახაზებით,
მიწის გულში განძის პოვნით,
მონავარდე მალხაზებით;

სვეტიცხოვლის და მურყვამთა
შექმნას რამე საკადრისი,
ახალი და საოცარი,
ექვთიმეს და საბას ღირსი -
ამას ითხოვს შოთა, ვაჟა,
გელათი და სამთავისი, -

განა იმას, ტაძრის ჩრდილში
ვილაღობოთ და ვიცინოთ,
საქართველოს სადღეგრძელო
გადავკრათ და დავიძინოთ!

სტუდენტობა,ქვეყნის ღონე
და იმედი თუ ვართ ჩვენა,
კვლავ დავიცვათ წმინდა მიწა,
ჩვენი ზნე და ჩვენი ენა,

ვისწავლოთ და ავამაღლოთ
გვარი,მოდგმა,საგამზრდელო,
თავის დროზე დავქორწინდეთ,
გავამრავლოთ საქართველო;

როცა ერი წინ არ მიდის,
უკან მიდის,უსწრებს ყველა.
თუ შევფერხდით სადმე გზაში,
ამას დროზე უნდა შველა!

შუმერთებთან წილნაყარი
ხალხი ავსებს საწყაულებს!
სასწაულად გადავრჩით და
ველით ახალ სასწაულებს.-

მათ ხომ ჩვენგან მოელიან,
და უმწეო ბატკნებივით
რა ნება გვაქვს,ტაძრის ჩრდილში
ვიწვეთ გულხელდაკრეფილი!

ძმებო,უნდა ვიყოთ ღირსი
ამ მიწის და ჰაერისა-
გვესმას მშობლის,წინაპრების,
ხმა ღვთისა და ხმა ერისა!